ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 63
27/12/2019

63-04-4-201912271551

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შინმოვლის ფინანსური დახმარების პროგრამის შესახებ წინადადების მოწონების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. უარი ეთქვას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს მის მიერ ინიციირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შინმოვლის ფინანსური დახმარების პროგრამის შესახებ წინანადადების მოწონების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცებაზე.
2. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე